ცნობის ფურცელი

№ 2132 პარასკევი, 25 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2132

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ქრისტინე გიორგის ასული და **ყარამან მერაბის ძე შავდია, სოფიო ყარამანის ასული შავდია-დოლაბერიძისა, ანანა ყარამანის ასული** და **ვარლამ ყარამანის ძე შავდია** აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პირველთა—საყვარელის შვილების და უკანასკნელთა ძვირფასის დების

ალექსანდრა და ლიზა შავდიების

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ოცდა-შვიდ (27) აპრილს დ. ხონში მაცხოვრის ტაძარში. (ნ. 3—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ვ. ს. მუსხელიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე:

დილით:

ვ. ი. ტიტინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ვ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ა. მუხამლოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^1/_2$—$12^1/_2$.

დ. ა. ზედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. ვ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. ხოზოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ქალების ავად. 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.)

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოფტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.)

ტელეფონი № 274 (წ.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

წარმოდგენა 49—11. ტელეფონი 617.

✦ უკანასკნელი წარმოდგენა ✦

ქართული თეატრი

კვირას, 27 აპრილს, 1903 წ.

ვალერიან გუნია გამართავს წარმოდგენას

ოტელო

ტრაგედია 5 მოქ. ვილიამ შექსპირისა, თარგ. თავ. ივანე მაჩაბლისა.

ამ პიესისთვის საგანგებოდ შეკერილია ახალი ტანისამოსები მოსესიანცის სახელოსნოში და დახატულია ახალი დეკორაციები.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

საქველმოქმედო წარმოდგენა.

შაბათს, 26 აპრილს,

ტფილისის რკინის გზის თეატრში სცენის-მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება დეპოს სამკითხველოს სასარგებლოდ

ციმბირელი

კომ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ო. ლეჟავა, ლომაურისა, როსტომიანი, ჯაბაურისა; ბ-ნი ივანიძე, ნ. გოცირიძე, გელიკურაშვილი, ბაქრაძე, თუშმელაშვილი და სხვა.

დასაწყისი 8 საათზე

(უ. 2—1) გამგე ს. დოლიძე

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის

წევრთა წლიური კრება, რომელიც დანიშნული იყო 1903 წ. აპრილის 20 ს, საკმაო წევრთა გამოუცხადებლობისა გამო, გადაიდვა 11 მომავალ მაისისათვის.

კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კრების განსახილველი საგნები იგივეა, რაც უკვე გამოცხადებული იყო წინად.

ამხანაგობის გამგეობა:
- თავმჯდომარე ბ. მდივანი
- წევრი ერ. კიწმარიშვილი
- გამგე ნ. წერეთელი.

(ნ. 3—2)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქ-ჩის კუთხისთან. ტელეფონი 642

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოების წევრთ იწვევენ საზოგადო კრებაზე დღეს, 25 აპრილს ამ საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) მიმდინარე საქმეები;
2) ი. გ. ალიბეგოვის მოხსენება ამიერ-კავკასიაში სახალხო განათლების შესახებ.

კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ. (უ. 1—1)

საზღვარ-გარედ

ჩინეთი. ფრიად საინტერესო ცნობებს იძლევა რუსული გაზეთი „ნოვი კრაი" ჩინელების ეხლანდელ განწყობილებაზე თავის მეზობელ რუსეთის იმპერიის მიმართ. „რუსეთის მომხრე და თანამგრძნობი ძალიან იშვიათი მოვლენაა ჩინელებ შორის. ჩინელები პირდაპირ ამბობენ, რომ რუსეთისათვის ხელსაყრელი არ არის ჩინეთის განვითარება, რადგან ასეთ შემთხვევაში იძულებული გახდება დიდი სამხედრო ძალა იყოლიოს საზღვრებზე; გარდა ამისა, რადგან რუსეთში ნაკლებად არის განვითარებული ფაბრიკა-ქარხნის მრეწველობა, ეს განვითარება სასარგებლო იქნება უფრო დაწინაურებულ ევროპიელ სახელმწიფოებისათვის. ჩინური საზოგადოებრივი აზრი ერთობ მტრულად უყურებს მანჯურიის რკინის გზას—„ერთობ საშიშია ჩინეთის დამოუკიდებლობისათვისო": ვითომ რკინის გზის დაცვისა და უზრუნველ-ყოფისათვის რუსეთს დიდძალი ჯარი შეუგროვებია იმ რაიონებში, სადაც რკინის გზა გადის. რუსეთი იყო პირველი მიზეზი და მაგალითის მიმცემი, რომ გერმანიასა და ინგლისს ადგილები მიეთვისებიათ ჩინეთის ტერიტორიაზე. რკინის გზები ჩინეთში სულ უცხოელების გაყვანილია, მაგრამ არსად ჯარები არა სდგას, გარდა მანჯურიის რკინის გზისა. და თუ რუსეთი ეხლა ჩინეთის ხელშეუხებლობაზე ლაპარაკობს, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაფერი თვითონ იგდოს ხელში და სხვას არა არგუნოს-რა. თუ როგორ ეპყრობა რუსეთი ჩინელებს, იქიდან სჩანს, რომ საზღვარზე მცხოვრებ ჩინელებს მეტად გაჭირვებული ცხოვრება აქვთ."

ლიხუნჩანგის სიკვდილის შემდეგ რუსეთის გავლენა შორეულ-აღმოსავლეთში დღითიდღე მცირდება და რუსულ გაზეთის მიერ მოყვანილი ფაქტები ცხადი ნიშანია ამ გავლენის შემცირებისა.

ჩინელი იმ საშინელ გარემოებათა შემდეგ, რომელიც მოჰყვა „კულტუროსან" ევროპიელთა შეერთებულ მოქმედებას, იღვიძებს და თვითცნობიერდება და როცა გაღვიძების და გათვითცნობიერების პროცესი დასრულდება, ბოლო მოეღება ჩინეთის ეხლანდელ დამცირებულ მდგომარეობასაც. მეტად სასტიკი და მძიმე გაკვეთილი მიიღო ჩინელმა გალაღებულ ევროპიელისაგან, რომ გონზე არ მოვიდეს და ძველებურ უმოძრაო, უსიცოცხლო ცხოვრებას მიეცეს.

სპარსეთი. აღმოსავლეთის მბრძანებელი ირანი ეხლა სასაცილოდაც არ ჰყოფნის მეზობლებსა და არა მეზობლებსაც. ძველი დრო რომ იყოს და საერთაშორისო სწორ-წონაობა არ თხოულობდეს გადამეტებულის სიფრთხილით მოქმედებას, სპარსეთი აქამდე რუსეთის პროვინცია იქნებოდა: არც მატერიალური, არც გონებრივი ძალა არ შესწევს „ძველ ირანის ლომს", რომ თავი დაიცვას და თუ აქამდე კიდევ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება, მხოლოდ იმიტომ, რომ ძლიერი სახელმწიფოები ერთმანერთს კრიჭაში უდგანან და ნებას არ აძლევენ გემრიელი ლუკმა პირში ჩაიდონ.

ჩრდილოეთიდან რუსეთის იმპერია არის მიწოლილი. დიდი ენერგია და ძალა დახარჯა რუსეთის დიპლომატიამ, რომ უპირატესობრივი მდგომარეობა შეექმნა თეირანში და მიაღწია კიდეც მიზანს. ინგლისი, შეურიგებელი მეტოქე რუსეთისა, სამხრეთიდან აწვება „მეფეთა მეფის" საბრძანებელს

ფელეტონი

საზოგადოებრივი პიესები იბსენისა

(შემდეგი*)

„ნორაში" აღძრულ საგანს ეხება იბსენის უსაშინლესი და უძლიერესი დრამა „მოჩვენებანი". „ნორა" თავდება იმით, რომ ქალი, რომელმაც შეიგნო ქორწინების სიყალბე, სწყვეტს ცოლ-ქმრულს კავშირს და შორდება ოჯახს თავისუფალ ცხოვრებისათვის. „მოჩვენებანი" კი აგვიწერს ერთის ქორწინების ისტორიას, თუ როგორ რჩება ცოლი ქმართან, თუმცა შეიგნო, რომ ყალბია მისი ქორწინება. ეს ქმარი, კამერჰერი ალვინგი, იყო ქარაფშუტა ადამიანი, ლოთი და ქალების მოყვარული, ერთის სიტყვით, იყო ისეთი ქმარი, როგორიც არ უნდა იყოს კაცი. როდესაც გამოაშკარავდება ქმრის ხასიათი და მასთან კავშირი შეიქნება ცრუ და ყალბი, ქ. ალვინგი მოიქცევა ისე, როგორც მოიქცა ნორა, ე. ი. მიდის სახლიდან, მიდის პასტორ მანდერსთან, რომელიც უყვარდა თავიდანვე. მაგრამ პასტორი უკანვე დააბრუნებს შემდეგის სიტყვებით: „თქვენი მოვალეობაა, ქმართან დარჩეთ, რომელიც ამოირჩიეთ ერთხელვე და რომელთანაც შეერთებული ხართ წმინდის კავშირით. ცოლს არ შეუძლია, ქმრის მსაჯული იყოს. თქვენი მოვალეობაა, წყნარად ატაროთ ის ჯვარი, რომელიც გატვირთათ უმაღლესმა ნებამო". მანდერსი საყვედურს ეუბნება ქ. ალვინგს იმისათვის, რომ უღლის მოშორება მოინდომა. ალვინგმაც ნორასავით განიზრახა, აღსდგომოდა კანონს და წესს, მაგრამ ძალამ უმტყუნა, პასტორმა დასძლია იგი; ენდო პასტორს და დაუბრუნდა თავის ქმარს და ბედს, რომელმაც მიიღო ავადმყოფის შვილის ოსვალდის სახე.

ქ. ალვინგი დაემორჩილა პასტორს, დაემორჩილა საზოგადოებრივს აზრს და მთელი სიცოცხლე ცრუობდა, ატყუილებდა ყველას, ატყუილებდა თავის შვილს, რომ მამა მისი წმინდა და მაღალის ზნეობის პატრონი იყო. რათა დაავიწყოს ეს ყალბი ცხოვრება, რომლითაც მოიპოვა საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა, აშენებს მშვენიერს თავშესაფარს განსვენებულის ქმრის სახსოვრად. პასტორი მანდერსი ამ თავშესაფარის საკურთხევლად მოდის, მოაგონებს წარსულს და უსაყვედურებს, ვერ იყავით კარგი ცოლი და დედაო. ქ. ალვინგი ვერ მოითმენს პასტორის საყვედურს და დაუმტკიცებს, რომ ყველასაგან პატივცემული ალვინგი იყო მეტად გარყვნილი კაცი, რომელიც სწამლავდა ოჯახს თავის ცხოვრებით.—რას ამბობთ? გაოცებით ეკითხება პასტორი.—აი, ამ კედლებს შორის გავიგე მე ყველაფერი პირველად. სასადილო ოთახში შევედი, რაღაც უნდა წამეღო. კარი ნახევრად გაღებული იყო. გავიგონე, თუ როგორ დაბრუნდა ბაღიდან მოსამსახურე გოგო ყვავილების მოსარწყავად.—მერე?—ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ალვინგიც. მე გავიგონე, რომ რაღაც უთხრა გოგოს ჩუმად. მერე... (სიცილით), ო, ეხლაც მესმის ეს სიტყვები, ნაკუწ ნაკუწად ჰგლეჯენ ჩემს გულს და თან სიცილს მგვრიან. მერე გავიგონე გოგოს სიტყვები: „ბატონო კამერჰერო, თავი დამანებეთო"!. მანდერს უნდა როგორმე გაამართლოს კამერჰერის საქციელი, მაგრამ ქ. ალვინგი ყოველივე ეჭვს გაუფანტავს განსვენებულის შესახებ. გოგოსთან დაახლოვებას თავისი შედეგი ჰქონდა.—მერე ეს ყველაფერი ამ სახლში მოხდა? ჰკითხულობს პასტორი.—ამ სახლში ბევრი რამ ავიტანე მე. რომ არსად გამეშვა, იძულებული ვიყავი, მასთან ერთად დავმჯდარიყავი და მონაწილეობა მიმეღო ღვინის სმაში, მიმეჯახებინა ჭიქა ჭიქაზე, ყური მეგდო მის უაზრო სიტყვებისათვის, მერე ძალად უნდა წამეთრია ლოგინში...

პასტორს მანდერსს სიტყვა ვერ უპოვნია სათქმელად, შემდეგ, როგორც არის, ხმას ამოიღებს; „მე თავს ბრუ მესხმის. მაშ თქვენი ქორწინება, თქვენი კავშირი ქმართან იყო სიყალბე, სხვის თვალებისათვის დაფარული!"—დიახ, ეხლა თქვენ ყველაფერი იცით.—მე არ შემიძლია დავიჯერო ეს, ეს ყოვლად შეუძლებელი ამბავია...

ქ. ალვინგის სახლში ცხოვრობს რეგინა, უკანონო ქალი კამერჰერისა და მოსამსახურე გოგოსი. ალვინგის შვილი ოსვალდი, ახალგაზდა მხატვარი, ეს არის დაბრუნდა იტალიიდან და ძლიერ დაღვრემილია, რომ გარშემო მუდამ წვიმა და ღრუბლებია და ერთხელაც არ გამოიხედავს მზე. დედა ანებიერებს, ეფერება შვილს და თანდათან შეამჩნევს მას მამის თვისებებს: ოსვალდი დაიწყებს სმას, მალ-მალ ღელდება და გული მისდის, მამასავით დაუწყებს ქალებს არშიყობას.

მანდერსი და ქ. ალვინგი განაგრძობენ ლაპარაკს: „ორის დღის შემდეგ, იმშვიდებს თავს ალვინგი: მე ვფიქრებ, რომ განსვენებული სრულებით არ ცხოვრობდა ამ სახლში. აქ არ იქნება არავინ, გარდა ჩემის

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2125.

და ყოველთვის იმის ცდაშია, რომ მეტოქის გავლენა დასცაროს. სამხრეთ-აფრიკის ომიანობამ, როგორც სხვაგან, აქაც ხელი შეუშალა დიდი ბრიტანიის დიპლომატიას: ცილაობიდან რუსეთი გამოვიდა გამარჯვებული და ინგლისის გავლენა შესამჩნევად შემცირდა.

დასრულდა დაუსრულებელი ბრძოლა ბურებთან და ინგლისის გარეშე პოლიტიკაც უფრო ენერგიული შეიქმნა, სხვათა შორის, სპარსეთშიაც. შემდეგმაც თავი მალე იჩინა: თეირანის მთავრობა, რომელიც ყურ-მოჭრილი ყმა იყო რუსეთის ელჩისა, ეხლა სულ სხვა მხრისაკენ იცქირება და სხვისაგან ელის რჩევა-დარიგებას.

„ათაბეგი აზამი (სპარსეთის შაჰის პირველი მინისტრი), რომელიც რუსეთის უელჩოდ ფეხსაც არ გადასდგამდა, ეხლა სერ გარტინგის (ინგლისის ელჩი თეირანში) ახლო მეგობარია. სერ-გარტინგიც, რასაკვირველია, სარგებლობს ამითი და ეხლავე დიდი საქმე ჩაუგდო ხელში ინგლისელებს: ერთმა ინგლისურმა კამპანიამ მიიღო კონცესია სპარსეთის ნავთიან ადგილებისა. ეს ნავთიანი ადგილები მდებარეობს სპარსეთისა და ოსმალეთის საზღვრებზე კარსი-შირინში და გამოკვლევით დიდ და მდიდარ განძს წარმოადგენს. კამპანიას განზრახვა აქვს რკინის გზა გაიყვანოს კარსი-შირინიდან სპარსეთის ყურემდე, რაც ნავთის საქმესთან ერთად სიცოცხლეს მისცემს და წინ წასწევს სამხრეთ სპარსეთს.

ინგლისის ენერგიული პოლიტიკა იწვევს არა მარტო ეკონომიურ გამოცოცხლებას სპარსეთისას. საზოგადოებრივი აზრიც, რამდენადაც არსებობს იგი სპარსეთში, სულ სხვაა ეხლა. მთელი სამღვდელოება, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს სასახლეში და ხალხშიაც, ინგლისის მხარეზე არის. სპარსული პრესსა, რომელიც აქამდე საგალობლებს ეუბნებოდა და გუნდრუკს უკმევდა რუსეთს, ეხლა სულ ინგლისის ქება-დიდებაში არის.

თეირანის ოფიციალური გაზეთი „იტილა“ ანგარიშობს, თუ რომელ სახელმწიფოში რამდენი მაჰმადიანია და რადგან მათი რიცხვი დიდი ბრიტანიის იმპერიაში გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში, გაზეთი ამბობს: „ამ გვარად მაჰმადიანების ბედი ვიწროდ არის დაკავშირებული ინგლისის ბედთან; ეს უკანასკნელი უძლიერესი სამაჰმადიანო სახელმწიფოა და მაჰმადიანების მთელი მომავალი მის ხელთ არის.“

მეორე გაზეთი „ხაბლ-ულ-მათინ“-ი დიდ მწუხარებას აცხადებს იმის გამო, რომ ინგლისი იმდენ ყურადღებას არ აქცევს სპარსეთს, რომ რუსეთის გავლენის ხსენებაც არ იყოს თეირანში.“

ერთის სიტყვით, სპარსეთის საერთაშორისო პოლიტიკას დაუდგა „ახალი კურსი“—ინგლისის მომხრეობა ძლიერდება და რუსეთისა თან-და-თან მცირდება.

არა ერთხელ გვითქვამს, რომ გარეშე პოლიტიკა რომელიმე სახელმწიფოსი მაშინ არის გამარჯვებული, როცა ხერხიან დიპლომატიას მხარს აძლევს ხალხის განვითარებული და დაწინაურებული ეკონომიური მდგომარეობა: ვის რად უნდა გავლენის შეძენა, შეძენილ გავლენით სხვა-და-სხვა კონცესიების მოპოვება, თუ ვერც ერთ კონცესიას ვერ განახორციელებს და საბუთის ქაღალდები უქმად პორტფელში იქმნება დაწყობილი?

საერთაშორისო დამოკიდებულებას, გავლენიან მდგომარეობას ჰქმნის არა ხერხიანი დიპლომატია და ჯარის კაცთა რიცხვი, არამედ ხალხის გონებრივი და მატერიალური განვითარება.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 24 აპრილს, მცხეთის ტაძარში, დიდ-ძალის საზოგადოების თანადასწრებით, დაკრძალეს გვამი საქართველოს უკანასკნელ მეფის გიორგი მე-XIII შვილის შვილის მეუღლის, **უგანათლ. კნ. ელენე გრუზინსკისა** (ზაქარია თარხნიშვილის ასულის).

◆ აზრადა აქვთ, **ბაზარი და სეირნობა** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართონ „ბელვიუს“ ბაღში, ვერაზე.

◆ ამას წინად, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა ყოველ წლივ გადასდოს 1000 მანეთი **მცირე ქართულ წიგნების გამოსაცემად**. ერთის წიგნის გამოცემას ამ ფულით „წერა-კითხვის საზოგადოება“ უკვე შეუდგა. ეს წიგნი „მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრებაა“.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რკინის გზის ნაწილების უფროსებმა თვალ-ყური ადევნონ, **იჯარადარნი დროზე აძლიან მუშებს ფულს** თუ არა.

◆ ტეხნიურ საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ **ჰიდრავლიურ სადგურის** პროექტის განხილვა და მის შესახებ განყოფილებისათვის მოხსენების წარდგენა დაავალა ამიერ-კავკასიის რკინის გზების ინჟინერს ეგოროვს, რომელიც კომისიაში იღებდა მონაწილეობას და ეს საქმე დაწვრილებით იცის. განყოფილებას ამასთანავე განუზრახავს უსახელო საზოგადოებისათვის ინჟ. მელის მიერ შედგენილი პროექტიც განიხილოს. საქმის დასაჩქარებლად წევრთ დაურიგდათ ქალაქის პროექტის 40 ეგზემპლიარი.

◆ გუშინ, 24 აპრილს, სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე **ერგიევს მოკვლის** შესახებ. პალატა ამ საქმის გარჩევას მოუნდა $11^{1}/_{2}$-დან ნაშუადღევის $3^{1}/_{2}$ საათამდე. პალატამ დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ბრალდებულთ გარდაეწყვიტათ ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა: აკოფოვს 20, ხოლო დანელიას—15 წლით.

◆ აზრადა აქვთ თურმე მუშტაიდში არსებული **საბრეშუმო სადგური სასოფლო-სამეურნეო სადგურად გადააკეთონ**. როგორც „ნოვ. ობო.“ გადმოგვცემს, მინისტრის რწმუნებულის მედვედევის პეტერბურგში წასვლას კავშირი აქვს, სხვათა შორის, ამ საქმესთანაც.

◆ ინჟენერ **ქალანთაროვის მოკვლის** შესახებ „ბაკინ. იზვ.“ სწერს: „ქალანთაროვი მსახურებდა მანთაშევის ქარხანაში. 21 აპრილს კანტორის ეზოში ქალანთაროვთან მივიდნენ ორის დღის წინად დათხოვნილნი, ზეინკალის შეგირდები, 17—18 წლისანი, მუშელი შახნაზარ შახნაზაროვი და ყაზახელი ზახაროვი და დაუყვირეს: „შენ წაგვართვი ლუკმა-პური, ჩვენ კიდევ სიცოცხლეს გამოგასალმებთო“. ამ სიტყვებთან ერთად ოთხჯერ გაისროლეს რევოლვერი და ქალანთაროვი მუცელში დასჭრეს; შემდეგ მიჰვარდნენ და ხანჯლით ყელი და მუცელი გაუჭრეს. ქალანთაროვის ყვირილზე მოვარდნილი დარაჯიც მსუბუქად დასჭრეს მხარში; მერე მკვლელნი პოლიციაში წავიდნენ, სადაც დააპატიმრეს კიდეც. ქალანთაროვის მოკვლა ამ რამდენისამე წლის წინადაც განიზრახა ერთმა ზეინკალმა, რომელიც ქალანთაროვს დაეთხოვნა. მაშინ ამ ზეინკალმა თავში დასჭრა მსუბუქად“.

◆ ხვალისათვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა ნიკოლოზ და იოსებ დვალიშვილებისა და ილია ფურანიძისა, რომელთაც **ქრთამის მიტაცება ჰბრალდებათ**.

◆ ძველის ნიმუშის მე-3 **საქალაქო სესხის ობლიგაციებიდან** ქალაქს უკვე დაუბრუნებია 198.500 მან. და დარჩა დასაბრუნებელი მხოლოდ 1500 მანათის ობლიგაცია. როგორც ვიცით, ქალაქს მხოლოდ მაშინ შეუძლია შეუდგეს ამ სესხის განაღდებას, როდესაც სულ დაიბრუნებს ძველის, უკვე გაუქმებულის, ნიმუშის ობლიგაციებს.

◆ საერო განათლების სამინისტრომ დეპეშით აცნობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ **სწავლა ვაჟთა გიმნაზიების** 1—7 კლასებსა და რეალურ სასწავლებლის 1—5 კლასებში 20 მაისზე ადრე არ უნდა გათავდესო. დასამთავრებელი ეგზამენები უნდა დაიწყოს პირველ მაისიდან.

◆ ტფილისის **ოლქის სასამართლოს სესსია** 2 მაისს გაემგზავრება შულავერში, სადაც დარჩება 13 მაისამდე და განიხილავს 15 საქმეს.

◆ 17-დან 21 მაისამდე ახალქალაქში ტფილისის **ოლქის სასამართლოს სესსია** განიხილავს საქმეებს.

◆ ტფილისის საკრედიტო საზოგადოებას ახალ შენობისათვის დაუხარჯნიათ 210 ათასი მანეთი. ძალიან კარგია ამ ახალ შენობაში განსაკუთრებით დარბაზი, სადაც მოთავსებულია საზოგადოება. დარბაზი რამდენსამე ას კაცს იტევს, შეიცავს 100 ოთხ-კუთხ საჟენს. შიგნით სვეტები აქვს. საზოგადოდ დარბაზი დიდი, ნათელი და გემოვანია. მარჯვნივ პატარა ოთახია კასიროსათვის. ოთახს ორი კარი აქვს, რომელიც სამ საიდუმლო კლიტით იკეტება.

◆ გუშინ, 24 აპრილს, სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ტფილისის მოქალაქეს, ლევან ხუბუტუროვს კაცის მოკვლის განზრახვისათვის გადაწყვეტილი აქვს ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა-გამასწორებელ რაზმში 3 წლით გაგზავნა.

◆ ხვალ სამოსამართლო პალატა განიხილავს შემდეგს საქმეებს: აბრამ კოგნაძისას—კაცის მოკვლა ჰბრალდება, მალაქია ხარებავასას—ყაჩაღობა ჰბრალდება, ტარიელ მასხარაძისას—ქურდობა ჰბრალდება და სხვა.

◆ სამხედრო-საინჟინერო გამგეობის უფროსი ბ-ნი რუდკოვსკი პეტერბურგს წავიდა სამსახურის საქმეებისა გამო.

◆ კავკასიის სამხედრო ოლქის საინჟინერო გამგეობამ მიჰმართა ხელ-ქვეით ინჟინრებს და სამხედრო უწყების სახლების გამგეებს და სთხოვა აცნობონ, საჭირო იქმნება თუ არა სამხედრო უწყების სახლები ელექტრონით გაანათონ. ამასთან საჭირო ხარჯთ-აღრიცხვაც უნდა წარუდგინონ.

◆ სადგურ რიონიდან ტფილისში სახალხო მატარებლით წამოსულა სუთიძე, რომელსაც თან წამოუყვანია 10 წლის ბავშვი, როდი სუთიძე. უფროსი ძმა რაღაც საქმისა გამო ჩამომხტარა ხაშურში. როცა მატარებელი დაძრულა, სუთიძე სხვა ვაგონში შესულა· უფიქრია, ჩემს ძმას შემდეგ სადგურზე ვნახავო. მაგრამ შემდეგ სადგურზე უძებნია და ვეღარ უპოვნია. ასე ჩამოსულა ტფილისამდე. აქ ბევრი უძებნია, მაგრამ ბავშვი მაინც ვეღარ უნახავს. მაშინვე დეპეშებით შეუტყობინებია სადგურებზე, მაგრამ სამი დღე ვერაფერი გაუგია. ბოლოს, როგორც გვატყობინებენ, როდი სუთიძე გორში, სადგურზე, უნახავთ.

◆ პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან ვიღაც ბოროტგანმზრახველებს ხეჩო საინანიანცისთვის მოტყუებით ამოუცლიათ 100 მან.

◆ კოჯრის აღმართზე პოლიციელებს გუშინწინ დილით უნახავთ ახლად დაბადებულ გადაცვალებულ ბავშვის გვამი.

რუსეთის ქრონიკა

◆ თითქმის ყველა გაზეთში იბეჭდება კორესპონდენციები კიშინევიდან ებრაელთა აკლების შესახებ. რაღა თქმა უნდა, უმრავლესობას დიდად სამწუხაროდ მიაჩნია ისეთი მოვლენა ჩვენს დროში, როგორც მთელის ხალხის აკლება და აწიოკება. მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც ამ საზიზღარ მოვლენას ამართლებენ. ასე იქცევიან უპირველესს ყოვლისა ცნობილი კრუშევანის გაზეთი „ბესარაბეც“-ი, „ნოვოე ვრემია“, „სვეტი“ და იმათი თანამოზიარენი. უშიშარი რაინდი კრუშევანი თამამად აცხადებს, რომ ებრაელთა აკლება თვით ებრაელებისავე ბრალი იყოო: ქრისტიანებმა, მუშებმა და დაბალმა ხალხმა პროტესტი განუცხადეს ებრაელებს სარევოლიუციო მოქმედებისათვის და ჯავრი იყარესო. მეორე გაზეთის „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი სცდილობს დაამტკიცოს, რომ არც

შვილისა და შისის დედის“. ამ დროს სასადილო ოთახიდან მოისმის ჩუმი ხმაურობა და ჩურჩული. **რეგინას** ხმა: ოსვალდ! გაგიჟდი? თავი დამანებე. ქ. **ალვინგი** (თავზარ დაცემული): ა! .

ქ. ალვინგი გაგიჟებულივით იცქირება ნახევრად გაღებულ კარში. ოსვალდი ჩაახველებს და მერე სიმღერას დაიწყებს.

პასტორი (აღელვებული): ეს რაა? ქ. ალვინგ, ეს რა ამბავია? **ალვინგი**: მოჩვენებანია!..

მოჩვენებანია ქვეყნიერების კანონები! წარსული არა კვდება. მშობლების და წინაპრების საქციელი შვილებში ცხოვრობს. დედამიწაზე სულ უბრალო მოქმედებაც არ იკარგება უშედეგოთ, რომელიც ამასთანავე არის მიზეზი ახალის მოვლენისა. წარსული მოჩვენების მსგავსად მუდამ წინ გვიდგია და უხილავად გვიმორჩილებს: ვერაფერი ვერ გაგვათავისუფლებს მისაგან. დედ-მამის ყალბი ცხოვრება მოქმედობს ოსვალდის არა მარტო სულიერ თვისებებზე: ოსვალდი სხეულითაც ავადმყოფია, როგორც შვილი უზნეო და გარყვნილი მამისა. ჯერ უცხოეთში ყოფნის დროს შეამჩნიეს მას ექიმებმა მემკვიდრეობითი სიგიჟის ნიშნები. ჩრდილოეთის მუდამ მოღრუბლულმა ცამ კიდევ უფრო აუშალა ნერვები სუსტ ოსვალდს. დედა რომ ჰხედავს, რომ მის შვილს რეგინა უყვარს, თვითონვე ჩაუგდებს ხელში ოსვალდს მის დას და ამით უნდა ცხოვრება გაუმხიარულოს შვილს. მანდერსი აღელვებით ეუბნება: „თქვენ ეგ არ უნდა ჩაიდინოთ!“ წყნარად და შეურყევლად უპასუხებს: „მე ვალდებული ვარ, ასე მოვიქცე, მე მსურს!“

სწორედ ამ დროს ფანჯარაში ცეცხლი გამოჩნდება: ეს იწვის კამერჰერის სახსენებლად აგებული თავშესაფარი. ცეცხლის შუქი ანათებს რეგინას და ოსვალდს, მათ შორის დგას ქ. ალვინგი, იქვეა ულონო პასტორი. იწვის თავშესაფარი, იწვის ყალბის არსებობის ტაძარი, ბუნება სასტიკ მსჯავრს სდებს ცრუ ადამიანების ცხოვრებას. ქ. ალვინგს იმის შიში ჰქონდა, რომ სიმართლე გამომჟღავნდება და თავშესაფარმა უნდა განფანტოს ყოველი ხმა განსვენებულის კამერჰერის ცხოვრების შესახებო. თავშესაფარის შემწეობით უნდოდა სიყალბის და გარყვნილების დაფარვა, ცრუობდა, რომ განთავისუფლებულიყო სიცრუისაგან, მაგრამ ეგ შეუძლებელი შეიქნა.

ქ. ალვინგს უნდოდა დაემალა შვილისათვის მამის გარყვნილი ყოფა-ქცევა: უნდოდა წმინდად დაეცვა შვილი, მაგრამ ეს ისე შეუძლებელი იყო მისთვის, როგორც მოსპობა ქმრის უზნეო ცხოვრებისა, რომელიც ეხლა უკვე წარსულს ეკუთვნოდა. როდესაც შეუძლებელი შეიქმნება, დაუფაროს შვილს მამის ყოფა-ქცევა, იმას ცდილობს, რომ როგორმე გაამართლოს ალვინგის უზნეო ცხოვრება, თითქოს პატიებას სთხოვს შვილს მამის ცოდვებისათვის. მისი გარყვნილი ცხოვრებაო, უხსნის ოსვალდს, შედეგი იყო ძალღონის ნამეტნაობისა, რომელმაც ადგილი ვერ იპოვა თავის გამოსაჩენად ამ ჩრდილოეთის დაღვრემილ ქვეყანაშიო. უცებ შენიშნავს, რომ ოსვალდი არც კი უგდებს ყურს. მერე ოსვალდი ეტყვის: მე ნამდვილად სრულებით არ მყვარებია მამა და სულ ერთია ჩემთვის, როგორი კაციც უნდა ყოფილიყო.

ოსვალდი გაიხსენებს, როგორ ემჩნევოდა არა ერთხელ სიგიჟის ნიშნები და მწარედ ამბობს: „რა საზიზღრობაა! რა საზიზღრობაა, ხელ-ახლად გადაიქცე ბავშვად!“ ფერი ეკარგება და გაშტერებული გაიყურება უაზროდ. სადაც არის, სიგიჟემ უნდა მოუაროს. ოსვალდი აჩქარებულად დადის ოთახში, თან-დათან ეკარგება ძალ ღონე. უცებ ამოიღებს ჯიბიდან მორფიას და დედას სთხოვს, მომწამლე, როგორც კი ცუდად შევიქმნებიო.

„დიაღ, დედა, ეხლა შენ სამსახური უნდა გამიწიო!“—„მე დედა ვარ შენი! წაგართმევ იმ სიცოცხლეს, რომელიც მიგანიჭე!“—„მე არ მითხოვია შენთვის სიცოცხლე. მერე როგორი სიცოცხლე მომანიჭე! მე არ მინდა იგი, უკანვე წაიღე!“ დედა შეჰფიცავს, რომ მოგკლავს, როდესაც საჭირო იქმნებაო. ოსვალდი ცოტა დამშვიდდება; დედა ამხნევებს და ანუგეშებს: „აი, ხომ ჰხედავ, ავადმყოფობამ გაიარა. შენ კარგადა ხარ ეხლა. უკვე დღე იწყება კიდეც. ჰხედავ? რა მშვენიერი და ბრწყინვალე მზეა! როგორ გალამაზდა ყველაფერი ირგვლივ.“ ოსვალდი სავარძელში ზის და უცებ ჩუმად ამბობს: „დედა, მზე მომეცი!“ უკან გადაიხრება, ძარღვები უსუსტდება. სახე ჰკარგავს ყოველსავე გამომეტყველებას, თვალები გაუშტერდება. დედა მუხლებზე დაეცემა და გადაეხვევა შვილს. შვილი ვერ ცნობილობს დედას და უხმოდ იმეორებს: „მზე... მზე...“ დედას ხელში საწამლავი უკავია. თავზარ დაცემულია, მის წინ საშინელი სურათია: შვილი, რომელიც მან ჰშობა და რომლისათვის სიკვდილი ხსნაა. მთელი გახრწნილი და დაცემული ცხოვრება ხორც-შესხმული წამებული შვილის სახით სდგას მის წინ.

მაგრამ გვიანლაა. ოსვალდი უაზროდ განაგრძნობს: „მზე, მზე!“ მხოლოდ მზე არ გაანათებს მათ, ვინც ყალბს და ცრუ ცხოვრებას შეუქმნია.

აი საუკეთესო პასუხი დღევანდელის გარყვნილ ოჯახის დამცველებს, რომლებიც ჰკიცხავენ ნორას, რისთვის დასტოვე შვილებიო. ქ-ნ ალვინგმა წინააღმდეგ ნორასი, კომპრომისი ამჯობინა, დაუბრუნდა კერას და შეჰქმნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრაელნი არიან გულ ხელ დაკრებილნი და ისინიც ჰკლეტავენ ქრისტიანებსა. იგი სწერს: „დღე ისე არ ჩაივლის კიშინევში, რომ მოკლულის ქრისტიანის გვამი არა ჰნახონო". აბა, ვინ უნდა მოჰკლას ქრისტიანი, თუ არ ებრაელმა! როგორც ეხლა ირკვევა, კრუშევანს კიშინევში მრავალი თანამგრძნობელი ჰყოლია. ასეთები თვით ქალაქის საბჭოშიაც ყოფილან. 10 აპრილს კიშინევის ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება ჰქონია იმის გადასაწყვეტად, თუ რით დაეხმაროს უმწეოდ დარჩენილ ებრაელებს. ხმოსანს დუბინას სიტყვა წარმოუთქვამს და დიდად გაუკიცხავს მავნე მოქმედება გაზეთ „ბესარაბეც"-ისა. წამომხტარა მეორე ხმოსანი, ლაზო, და უთქვამს, რომ ყველაფერში თვით ებრაელნი არიან დამნაშავენიო. მესამე ხმოსანმა ადმინისტრაცია გაჰკიცხა უმოქმედობისათვის. მკითხველებმა უკვე იციან, რომ კიშინევში პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ლოპუხი იყო. დირექტორს მრავალი საჩივარი გადასცეს ებრაელებმა. ბევრნი თხოულობენ, ხაზინამ აღუდგინოს ზარალი. ამის გამო იგივე „ნოვ. ვრემია" სწერს: „როგორც ეტყობა, ებრაელებს უნდათ მთავრობამ კონტრიბუცია დადოს ქრისტიანებს" ო. შინაგან საქმეთა მინისტრისთვისაც გაუგზავნიათ საჩივრები; თხოულებენ, „ნოვოე ვრემია"-ს, „სვეტ"-ს და ორიოდე სხვა გაზეთს აეკრძალოთ ებრაელებზე წერა, ხოლო „ბესარაბეც"-ი სრულიად აიკრძალოს. ებრაელების აკლების მონაწილენი და წამქეზებლებიც დაუსახელებიათ. ასახელებენ, სხვათა შორის, ნატარიუს პ.—ს, მემამულეს ბ.—ს და ექიმს ს.—ს. ესენი ებრაელთა აკლების დროს ბრბოში ყოფილან თურმე.

ებრაელნი მარტო კიშინევში არ აუწიოკებიათ. როგორც „ნოვ. ვრ."-ს ატყობინებენ, ასეთი ამბები იმავე დღეს სხვა სოფლებშიაც მომხდარა. სოფელ ჩეპლენსა, მერენსა და ბაჩეიში ორი ებრაელი მოუკლავთ. გრიშოვსა, ვიდულუიმოლსა და ორგეევში ჯარიც-კი გაუგზავნიათ. 12 აპრილს ორგეევში თვით ვიცე-გუბერნატორი წასულა.

ებრაელების აკლება, როგორც „ვოსხოდ"-სა სწერენ, დაუწყიათ პირველად ადგილობრივ მცხოვრებთ კი არა, მოსულ ხალხს, უმთავრესად ველიკოროსებს. მალე იმათ მხარი დაუმშვენეს თურმე ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც: ზოგიერთა მუშებმა, ხელოსნებმა, უადგილოდ დარჩენილმა ხელზე მოსამსახურეებმა, ფოსტა - ტელეგრაფის დაბალმა მოსამსახურეებმა, მაწანწალა მათხოვრებმა, წვრილ ფეხობამ—ბიჭებმა და გოგოებმა და სხვებმა. ასე გასინჯეთ, მოწოდებანიც-კი დაებეჭდათ: იწვევდნენ ხალხს ებრაელების ამოსაჟლეტად და ამოსახოცად. ამასთან ამ დაბეჭდილ მოწოდებაში მოხსენებული იყო: პეტერბურგიდან მოვიდა ბრძანება, რომ ამოჟლიტეთ ურიებიო. დასასრულ, ორი სიტყვა კიდევ იმავ „ბესარაბეც"-ისა და „ნოვოე ვრემია"-ს შესახებ. ეს გაზეთები ყოველდღე სწუხან დაპატიმრებულთათვის და ამბობენ, იმათი ცოლშვილი შიმშილით იხოცებაო. ამავე დროს არაფერს ამბობენ იმ ებრაელთა შესახებ, რომელთაც ხალხი დაუხოცეს, სახლ-კარი დაუწიოკეს და ულუკმაპუროდ დასტოვეს.

◆ როგორც „სევერ. კავ."-ი გადმოგვცემს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩრდილოეთ კავკასიაში შემოიღებენ 1904 წლიდან.

პრესსა

„ბაკინსკ. იზვ." შემდეგ საყურადღებო საკითხს ეხება:

რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონები, როგორც ვიცით, აღიარებენ სარწმუნოების თავისუფლებას. მაგრამ კანონის ეს მოთხოვნა მეტად შეზღუდულია პრაქტიკით. აი, მაგალითად, ერთი გარემოება, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება კანონს და რომელსაც ვერავითარი მოსაზრება ვერ გაამართლებს:

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ერთ კრებაზე ბევრმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ პირველ-დაწყებით სკოლებშიაც-კი ბოლოს დროს თხოულობენ, სამღვთო წერილი უთუოდ რუსულ ენაზე უნდა ისწავლებოდესო; ეს კი სრულიად ეწინააღმდეგება ხსენებულ ძირითად კანონების მე-45 მუხლს, რომელიც თხოულობს „რჯულის აღიარებას მამა-პაპის ენითა და კანონით".

არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ასეთი წესი,—ე. ი. სამღვთო სჯულის არა მშობლიურ ენაზე შესწავლა,—პედაგოგიის წინააღმდეგია და პრაქტიკულად მოუხერხებელი, რადგან ლოცვები და ეკკლესიის წესები წმინდაა მხოლოდ იმ ფორმაში, როგორიც მამა-პაპათ უანდერძებიათ; ვამბობთ მხოლოდ, რომ ეს კანონის წინააღმდეგია და რომ შედეგად არა სასურველი გარემოება მოჰყვა: ბევრ სკოლაში სრულიად მოისპო არა მართლმადიდებელთა სამღვთო წერილის შესწავლა ან და შესუსტდა ამ საგნის სწავლების საქმე.

ახლა, რა-კი უმაღლესი მანიფესტი ავალებს მთავრობას—მტკიცედ დაცულ იქმნას სარწმუნოებრივ თავისუფლების კანონები, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღნიშნულ გარემოებასა და ხსენებულ თავისუფლების სხვა შემაფერხებელ მოვლენათ ადგილი აღარ ექნება და მათ სამუდამოდ ბოლო მოეღება. ხოლო ვისი უფლებაც ამ მხრივ დარღვეული იქნება, მათ ადვილად შეუძლიათ თავიდან აიცილონ შემაფერხებელი გარემოებანი იმ ადგილობრივ მთავრობის შემწეობით, რომელიც „სასტიკად პასუხს აგებს ჩვენს წინაშე"-ო, როგორც ამბობს უკანასკნელი უმაღლესი მანიფესტი.

⁂

გაზ. „რუსსკ. ვედომ." ეხება კიშინევში მომხდარ ებრაელების აკლებას და, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს:

ბევრი მიუდგომელი და მართალი ცნობა გვიმტკიცებს, რომ ებრაელთა აკლება გამოიწვია აგრეთვე სიტყვით თუ მწერლობით ებრაელების სისტემატიურმა დევნამ, მათ წინააღმდეგ ხალხში მტრობისა და სიძულვილის გავრცელებამ; ამაში უმთავრესად ამტყუნებენ ადგილობრივ ძალიან გავრცელებულ გაზეთს „ბესსარაბეც"-ს. მტრობისა და სიძულვილის ქადაგებას ნაყოფი უნდა გამოეღო და აი ეს ნაყოფიც თვალწინა გვაქვს. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: რა მიზანი უნდა ჰქონდეს რომელისამე ერის სისტემატიურ დევნას? გვეუბნებიან, ამით უნდა გამომჟღავნდესო ექსპლოატაცია, ამით უნდა მოისპოს ესა თუ ის უსამართლობაო (ესე იგი, უნდა გამომჟღავნდეს ებრაელებისაგან ქრისტიანთა ეკონომიური აწიოკებაო). მაგრამ ასეთი მხილება მიუდგომელი უნდა იყოს, არ უნდა გადაიქცეს სარწმუნოებრივ ან ეროვნულ მტრობად, არ უნდა შეიქნეს ეროვნულ დევნად, რასაც შეუძლია მხოლოდ ხალხის დაბალ გრძნობათა გაღვიძება. რასაკვირველია, ის გაზეთები არ მოისპობიან, რომელნიც ერთა შორის სიძულვილსა სთესენ, მაგრამ საჭიროა, რომ ამგვარ გაზეთების წინააღმდეგ ამხედრდეს მთელი საუკეთესო ნაწილი პრესსისა,—იმ პრესსისა, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ ადამიანში მხეცის გაღვიძება-კი არ არის საჭირო, არამედ კაცთ-მოყვარეობის და სამართლიანობის გრძნობის განვითარება. სიმართლე, კაცთმოყვარეობა და განათლება—აი, მოტივები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საზოგადო მოღვაწემ და რომლითაც შესაძლებელია მხოლოდ სარწმუნოებრივ ან ეროვნულ მტრობის დაშოშმინება და სხვა-და-სხვა ერთა ელემენტების დაახლოვება საერთო ნიადაგზე.

⁂

დღე არ გაივლის ისე, რომ „ჩერნომ. ვესტნიკ"-მა როგორმე ჩირქი არ წასცხოს ჩვენ ქვეყანასა და ერს, რაიმე ცილის წამება არ შეთხზას. იგივე ვაჟ-ბატონი, რომლის „დანოსი"-ს შინაარსი გუშინ ვაუწყეთ მკითხველთ, დღეს (მე-91 №-ში) არწმუნებს ვისაც ჯერ არს, რომ ამიერ-კავკასიაში ცრუ-მოწმობა ხალხს ხელობად აქვს გადაქცეულიო. აი, როგორ ამტკიცებს ამ ბრალდებას პალმის ერთგული თანამოკალმე:

როდესაც სოფელში ვცხოვრობდი, მე საუბარი მქონდა ერთ ნამდვილ ცრუ მოწმესთან; ის განსაკუთრებულის ნდობით მეპყრობოდა და ამიტომ გულახდილად მიამბო შემდეგი:

„ხუთის წლის წინად მე მიმიწვია ჩვენის მაზრის რამდენმამე მცხოვრებმა, რათა შევსულიყავ მათ საზოგადოებაში; ეს საზოგადოება იმათ შეედგინათ იმ მიზნით, რომ განსაზღვრულის ჯილდოს მიღების შემდეგ ცრუ მოწმედ დასდგომოდნენ ვისმეს სასამართლოში; ჩვენ საზოგადოებაში 8 კაცია ახლა და თუ ვისმეს დასჭირდა, რიგ-რიგობით მივდივართ სხვა-და-სხვა სასამართლოში და ცრუ მოწმედ ვუდგებით გაჭირვებაში ჩავარდნილთ. ჯილდოს ვიღებთ საქმის სიძნელის მიხედვით; ზოგიერთ წელს თითო ჩვენგანი ათას მანათამდის შოულობს... ცრუ ჩვენებას ჩვენ ვაძლევთ იმგვარად, როგორც ადვოკატებს დაგვარიგებენ"...

როგორ მოგწონთ ასეთი საქციელი „ჩერნომ. ვესტნიკ"-ის ვითომდა მწერლისა? ეს ვაჟბატონი მძიმე ბრალსა სდებს ქვეყანას და ამას გვიმტკიცებს მით, რომ თავის თავს მოწმედ გვისახელებს. ყოველგვარ საზიზღარ ცილის წამების დამტკიცება შეიძლება იმ ხერხით, რომელსაც მელიამ მიჰმართა, როდესაც თავისი კუდი იმოწმა!..

ტფილისის საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა კრება

კრება, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, 23 აპრილს მოხდა. თავმჯდომარეობდა ა. ს. ბაბოვი. პირველად წაიკითხეს წარსულ წლის ანგარიში. საზოგადოებას 1902 წლის განმავლობაში გაუცია 307 სესხი. აქედან 151 სესხი 2,601,100 მანეთისა ხელმეორედ დაგირავებულ მამულებზე; 64 სესხი 479,300 მან. [illegible] დაგირავებულ მამულების ახალ შენობებზე და 87 სესხი 139,900 მანეთისა გადაგირავებულ მამულებზე; სულ გაუციათ სესხად 4,517,000 მანეთი, 10,800 მანეთით მეტი წინა წელზე. მთელი ბალანსი ასულა 21,715,390 მანეთ. და 50 კაპეიკამდე. საჯარო ვაჭრობაში ჩაუგდიათ 59 დაგირავებული მამული. ივნისში გაყიდულა 36 მამული, დეკემბერში—20 მამული. 3 მამული (6,388 მან. 99 კაპ. თავნ ვალიანი) საზოგადოებას დარჩენია. წმინდა მოგება ჰქონია საზოგადოებას 93,193 მან. 62 კაპ., 20,248 მან. 44 კაპ. მეტი წინა წელზე. საკუთარ სადგომის მოსაწყობად დახარჯვია 350,585 მან. 94 კაპ.. თუ წმინდა მოგებამ ასე იმატა, იმედოვნებს გამგეობა, ახლო მომავალში საშუალება გვექმნება ჩვენს მსესხებელთ ვალიან გარდასახადების შედავათიანად შემოტანა გაუადვილოთო. მოხსენებაში გამგეობა საზოგადოების ყურადღებას აქცევს შემდეგს გარემოებას: 1897 წლიდან საზოგადოების წესდება შეუცვლიათ ისე, რომ გამგეობას ნება ჰქონია 25 წელზე მეტის ვადით გაეცა სესხი, მაგ. 5% სესხი 36 წლითა და 4 თვით, ხოლო 4½% სესხი 38 წლითა და 4 თვით. მიუხედავად ამისა, უმთავრესად გამგეობის რეკომენდაციით მსესხებელთა უმრავლესობა სესხს იღებდა 25 წ. ან ნაკლებ ვადით. საანგარიშო წელს ბანკში ასეთი მიმდინარეობა შეცვლილა და გრძელ ვადიანი სესხი, მაგ. 36 წ. და 4 თვით, გაუტანია 202 მსესხებელს 2,722,600 მანეთისა. შეუმჩნევიათ, რომ საკრედიტო საზოგადოებიდან გრძელ-ვადიან სესხის გამომტანთა რაოდენობა თან-და-თან იზრდებოდა, მაგრამ გამგეობა სცდილობდა, რომ მსესხებელთ მოკლე-ვადიანი სესხი გაეტანათ. გამგეობა იძულებული იყო, განაცხადა გამგეობის თავმჯდომარემ, ასე მოქცეულიყო მრავალ მიზეზების გამო. უმთავრესად გამგეობას სახეში ის გარემოება ჰქონია, რომ საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციები ბირჟაზე ნაკლებად ფასობს, ვიდრე რუსეთის რომელისამე ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციები და ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირაონობის ფურცლები. გამგეობის აზრით, საქმის ასეთი არა ნორმალური მიმართულება რომ შეიცვალოს, საჭიროა სესხის გაცემა ისეთისავე სიფრთხილით, როგორც ეს ხდებოდა საანგარიშო წლამდე. წინად საზოგადოების ობლიგაციები თუ მეტად ჰფასობდა, იმის გამო რომ მის მყიდველს იმედი ჰქონდა ბირჟაზე მოგებისა და ამ იმედს გაღვიძებით უფრო ხელს უწყობს 25 წლის ვადიანი სესხები, ვიდრე 36 წლისა. ამისა და სხვა ამ გვარ მიზეზებისა გამო გამგეობა საანგარიშო წელს ცდილა, რომ სესხის გაცემის ვადად წინანდებური 25 წლისა და ნაკლები ვადა დარჩენილიყო. გამგეობის ასეთს მიმართულებას დირექტორი ტერ-ასატუროვი არ თანაუგრძნობს და ამიტომაც საზოგადო კრებას 23 აპრილს წარუდგინა ვრცელი მოსაზრებანი, თუ რატომ იქმნება უმჯობესი საკრედიტო საზოგადოებამ მსესხებლის სურვილის თანახმად მეტი ვადით გასცეს სესხი, ვიდრე აქამდე. ტერ-ასატუროვი ამბობს, რომ საანგარიშო წელს 1 მილიონ მანეთის მეტი სესხი საზოგადოებიდან

ოსვალდი. ოსვალდი ნამდვილი შვილია იმ ზრდილობანის სიცრუისა და დაფარულ გარყვნილებისა, სათნოიანი სიმხდალისა და ფარისევლობისა, მატყუარობისა, რომლითაც გამსჭვალულია დღევანდელი საზოგადოება. იგი იღუპება, როგორც ერთი პირველ მსხვერპლთაგანი იმ საზოგადოებისა, რომელიც უნდა მოისპოს, დაიღუპოს.

იბსენის „მოჩვენებებმა" კიდევ უფრო მეტი ალიაქოთი ასტეხეს მის თანამემამულეთა შორის, ვიდრე „ნორა" მ. ნორვეგიული პრესსა ზიზღით იხსენიებდა ავტორის სახელს, საზოგადოების გამრყვნელი და ხელოვნების უარ-მყოფელი უწოდეს მას. არავის არ უნდოდა სახლში დაეტოვებინა ახალი დრამა, ვინც კი წაიკითხა, ყველამ მაშინათვე ბუკინისტს მიჰყიდა. იბსენი ძალიან აალელვა ასეთმა საქციელმა და ფიქრობდა, რომ კიცხვა და ლანძღვა მიმართული იყო არა მარტო მის ნიჭის წინააღმდეგ, არამედ ეხებოდა მის პირად პატიოსნებასაც. შემდეგი მწარე წერილი მისწერა მაშინ იბსენმა ბრანდესს: „როდესაც ვფიქრობ, როგორ ზარმაცად, მძიმედ და სუსტად მუშაობს აზრი ჩრდილოეთში, როდესაც ვხედავ, როგორ წვრილმანად უყურებენ ჩვენში სერიოზულს საგნებს, მე მეტის მეტად ვღონდები და მგონია, რომ უმჯობესი იქნებოდა მთლად ხელი აეღო მწერლობაზეო".

მხოლოდ ორი წლის შემდეგ წარმოადგინეს პიესა ქრისტიანიაში; პიესა ზედიზედ ითამაშეს ცამეტჯერ. ახალგაზრდობა ისეთ აღტაცებაში მოვიდა, რომ წარმოდგენები ნამდვილ დემონსტრაციებად გადაიქცა. უფრო დააფასეს იბსენის ახალი ნაწარმოები უცხოეთში. ბერლინის თეატრში პირველი მოქმედების შემდეგ ჯერ ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი დაიმონა ძლიერმა შთაბეჭდილებამ. მერე მთელი ქარიშხალი ატყდა. ავტორი გამოიწვიეს ერთხმად, რომელსაც მეტის სიხარულისაგან ცრემლები წამოუვიდა. განვლო კიდევ რამდენიმე წელიწადმა, „მოჩვენებანი" გაიგო საზოგადოებამ და ჯეროვანად დააფასა კიდეც.

არ გასულა ორი წელიწადი, რომ დაიბეჭდა „ხალხის მტერი", რომლითაც იბსენმა პასუხი გასცა „მოჩვენებათა" გამო აყაყანებულ თანამემამულეებს.

ექიმი შტოკმანი დაბრუნდა თავის სამშობლოში. წინად უცხოეთში მუშაობდა, ეხლა მშობელ ქალაქს დაუბრუნდა, სადაც აღმოაჩინა საუცხოვო სამკურნალო საბანაო წყლები, რომელთაც მთელი სიმდიდრე უნდა შესძინონ ქალაქს. მაგრამ მალე იმასაც აღმოაჩენს, რომ, რადგან ქალაქს ცუდი კანალიზაცია აქვს და ყოველივე სიბინძურე აბანოებში ჩადის, წყალი მოწამლულია. პატიოსანი მებრძოლი სიმართლისათვის მზადაა, დაეხმაროს საქმეს, მაგრამ ფულებია საჭირო, რომელსაც არ იმეტებს ქალაქის თვითმმართველობა. შტოკმანს შეუძლებლად მიაჩნია აბანოებით სარგებლობა შეუკეთებლად და უნდა თავისი აზრი გამოაცხადოს, გააფრთხილოს ყველა. ეს მავნებელია ქალაქისათვის და შტოკმანს საზოგადოების, და ხალხის მტრად გამოაცხადებენ მოქალაქენი. მათთვის გაუგებარია ექიმის ფანატიკური სიყვარული სიმართლისადმი, ისინი ფიქრობენ მხოლოდ საკუთარ წვრილმან ინტერესებზე. შტოკმანს, ნამდვილ მეგობარს ხალხისას დაჰგმობენ და შეიძულებენ ისევ, როგორც დაჰგმეს ბრანდი. შტოკმანი ბრანდისებური ადამიანია, იგიც დამოუკიდებელი პიროვნებაა, საკუთარის გზით დადის და მისი კანონიც არის: ან ყველაფერი, ან არაფერი! მის ძმა კი, ქალაქის თავი, ეუბნება: „ყოველი კერძო პირი უნდა ემორჩილებოდეს მმართებლობის კაცებს, რომელნიც ზრუნავენ საერთო კეთილდღეობისათვისო". შტოკმანი იმგვარადვე დარწმუნებულია თავის აზრის და გზის შესახებ როგორც დარწმუნებული იყო ბრანდი. მისი სულის სიდიადე გამოჩნდება მაშინ, როდესაც მტრობას და წინააღმდეგობას შეეტაკება. მწუხარება აამაღლებს, თვალებს აუხელს და დაანახვებს ყველაფერს გარშემო. საწამლავი, რომლითაც გაფუჭებულია აბანოები და რომლის შესახებ ხმა არ უნდა ამოიღოს ქალაქს, რომელიც უნდა დაჰფაროს სიცრუით, ის სიყალბეა, რომელიც სწამლავს საზოგადოებას. შტოკმანი იბრძვის სამართლისა და თავისუფლებისათვის. თვითონვე ამბობს, რომ, თუმცა საბანებელი წყლებიდან დავიწყე, მაგრამ უფრო ღრმა აზრები დავასკვენიო; ყველაზედ უწინარეს ის აღმოვაჩინე, რომ ჩვენის ცხოვრების ყველა წყარო მოწამლულია, რომ მთელი ჩვენი საზოგადოება დამყარებულია სიყალბის მოშხამულ ნიადაგზეო. შტოკმანი ებრძვის საკუთარ ქალაქს იმიტომ, რომ ყველაზედ მეტად უყვარს იგი. „მე ისე ღრმად მიყვარს მშობელი ქალაქიო, ამბობს, რომ მზადა ვარ მოვსპო იგი, ვიდრე ვუცქირო, როგორ აყვავდება იგი ცრუ ნიადაგზეო". სხვა პიესაშიც ამბობს ერთი გმირი იბსენისა: „უკეთესი სიყვარული სიძულვილიაო!" ეს საკუთრად იბსენის შეხედულობაა, რომელიც თავის ერისა და კაცობრიობისადმი ღრმა სიყვარულისა გამო შეიქნა ფიცხი ბრალმდებელი და სასტიკი მსაჯული.

კალამი.

(დასასრული იქნება)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში გადავიდა. ამის მიზეზი განსაკუთრებით ის უნდა იყოს, რომ ჩვენი ქაღალდების კურსი სათავად-აზნაურო ბანკის ქაღალდებთან შედარებით ძლიერ დაეცა. ჩვენმა ბანკმა ნორმალური მიმდინარეობა რომ მიიღოსო, სთქვა ბ. ტერ-ასტუროვმა, უმჯობესად მიმაჩნია სესხი უმეტესად გრძელის ვადით (36 წლით) გაიცეს ხოლმეო.

ამ საგანმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ზოგი გამგეობის აზრს მიემხრო, ზოგი ტერ-ასტუროვისას. ბოლოს კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა, გარდაცეს ეს საკითხი შესამუშავებლად ზედამხედველ კომიტეტს, რომელმაც ახლო მომავალში რწმუნებულთა საგანგებო კრება უნდა მოახდინოს.

შემდეგ კრებამ დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში და შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. გამგეობას სახარჯოდ აღნიშნული აქვს 75,070 მან., ხოლო ზედამხედველ კომიტეტს-78,000 მან. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს შემანოვსკიმა და ოშობინინმა წინადადება შეიტანეს გამგეობის დირექტორებს 1000 მან. მიემატოთო. კრებამ უარ ჰყო ეს წინადადება. შემდეგ კრებამ დაადგინა დაწესდეს მდივნის ახალი თანამდებობა და დაენიშნოს ამ მდივანს წლიწადში 1200 მან. ამ ცვლილებებით კრებამ დაამტკიცა ზედამხედველ კომიტეტის მიერ შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა, სულ 78,000 მან. გამგეობას თავმჯდომარეს ექმნება 8000 მან., დირექტორებს თითოს 3000 მან. და სხვა. შემდეგ წაიკითხეს ზედამხედველ კომიტეტის მოქმედების ანგარიში. სხვათა შორის, კომიტეტში აღნიშნა, რომ საზოგადოების ახალს სადგომს დასამთავრებლად დასჭირდა საანგარიშო წელს 200,000 მან. კრებამ კომისია აარჩია და იმას მიანდო ამ დანახარჯის შემოწმება. კომისიის წევრებად აარჩიეს: კ. მ. ალიხანოვი, თავ. ჩერქეზიშვილი, იარალოვი, კირაკოზოვი, ლ. ფ. ტიგრანოვი, ფელულოვი, ენფიაჯიანცი და ა. ს. ბაბოვი.

კრებამ მიიღო წინადადება გამგეობისა, შუამდგომლობა აღძრას საზოგადოების წესდების მე-105 მუხლის შესაცვლელად.

შემდეგ მოხდა არჩევნები. დირექტორის თანამდებობაზე ყუთი დაიდგეს თავ. ვასილ მ. თუმანოვმა, გ. გ. თათუზოვმა და ა. ი. ორბელმა. აარჩიეს თათუზოვი. დირექტორის კანდიდატებად არჩეულ იქმნენ ი. მ. შადინოვი და თავ. გ. ბ. ბებუთოვი. ზედამხედველ კომიტეტის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ხმის უმეტესობით: ბ. თაიროვი, ი. გურგენბეკოვი და თავ. ბებუთოვი. დასასრულ გამგეობის თავმჯდომარემ, პ. ს. დამბაროვმა მიჰმართა კრებას მოკლე სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა შემდეგი: საზოგადოებამ ამ ორის-სამის წლის განმავლობაში ერთი მეტად დიდი საქმე მოიგვარა: აიგო ამისთანა მშვენიერი საკუთარი სადგომი. საზოგადოდ წესად მიღებულია რამე საქმის დამთავრების შემდეგ ღვინითა და ხურით პატარა დღესასწაულის გამართვა. ჩვენ, კარგი იქნება, ეს დღესასწაული გარდავახადოთ დღევანდელ დღის სახსოვრად სხვა ნაირად: გადავდოთ 3000 მან. რომელსამე საქველმოქმედო დაწესებულებას და იმან ჩვენის სახელით ეს ფული მოახმაროს საკეთილო საქმეს. კრებამ ტაშის ცემით მიიღო ეს წინადადება, მხოლოდ დაადგინა გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა გადასწყვიტონ, ვის მიეცეს ფული.

დაბა-სოფლები

ყანდაურა (გარეთ-კახეთი). როგორც უკვე მოხსენებული იყო „ცნობის ფურცელ"-ში, 16 მარტს ამ სოფლის საზოგადოებამ განაჩენით დაადგინა, აქეური მცხოვრები ჯ—შვილი და იმისი შვილი დათიკო გადასახლებულ იქმნენ. სხვა ბოროტ-მოქმედებასთან ერთად იმათ ჰბრალდებოდათ მამასახლისის ივანე ჯავახიშვილის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება. ამ საქმის შესახებ 20 აპრილს მოვიდნენ მაზრის უფროსი და ადგილობრივი ბოქაული და საქმის გამოძიებას შეუდგნენ. გამოძიების დაწყებამდე მაზრის უფროსს მიჰმართა ჯ—შვილის შვილმა ალექსიმ, რომელიც სამრევლო სკოლის მასწავლებელია, შემდეგის სიტყვებით: „გთხოვ, რომ ამ განაჩენს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, რადგან ხელის მომწერთა შორის მკვდრების სახელი და გვარიც არის მოხსენებული. მაზრის უფროსი სათითაოდ დაეკითხა იმათ, რომელთაც კი ხელი ჰქონდათ მოწერილი განაჩენზე, რიცხვით 237 კაცს, და ოთხის კაცის გარდა, ყველამ თანხმობა განაცხადა აღნიშნულ პირების გადასახლებისა. ამ ოთხში ორ კაცს ხალხი ბევრ ბოროტ-მოქმედებას აბრალებდა. ითხოვეს იმათი გადასახლებაც, განაჩენი ამითთვისაც იმ დღესვე უნდა დაედგინათ, მაგრამ რადგან ცვაინდებოდა, შემდეგისათვის გადასდეს. საქმის გამოძიების შემდეგ მაზრის უფროსმა გამოუცხადა ხალხს, რომ განაჩენი კანონიერია და გუბერნატორს გადაეცემაო. ეს მეორედ არის, რომ იმ პირებს განაჩენს უდგენენ. ხალხი ხუმრობით ამბობდა, მკვდრებმა როგორღა გაიგეს ჩვენი უბედურება, რომ ხელი მოაწერეს განაჩენს და ამხანაგობა გაგვიწიესო!

დარიხეველი

სამტრედია (იმერეთი). 27 აპრილს აქ აკურთხებენ მომრიგებელ სასამართლოს. კურთხევის დღისათვის დაბა ემზადება სადილის გასამართავად. ამ დღისათვის დაბას მოწვეული ჰყავს ქუთაისიდან პროკურორი და იმისი ამხანაგი, მაზრის მარშალი, ქალაქის მოურავი, სახალხო სკოლების დირექტორი და ინსპექტორი; ფოთიდან ქალაქის მოურავი; ხონიდან—მომრიგებელი მოსამართლე და გამომძიებელი; ჭიათურიდან— სასოფლო საავადმყოფოს ექიმი და სხვანი.

აქეთ დღესასწაულების სეზონი უკვე დაიწყო და ზოგიერთმა ფულის პატრონებმაც გაფაცებით თეთრ-ყურის დევნება დაიწყეს აქეთ იქით, რომ ოხრის ფასად ხელთ იგდონ ავეჯეულობა, ძროხა, ხარი და სხვ. წელს აქეთ მეტის-მეტად ძვირია აბრეშუმის თესლი. კოლოფი 3—5 მან. ფასობს და ჩამოგარიც არ არის.

სანდრო

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის შემწეობით უღრმესს მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, ვინც კეთილ ინებეს და ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინეს სოფ. ხარაგაულის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ფულის თუ წიგნების შემოწირვით. აი ფულის შემომწირველთა:

ყოვლად სამღვდელომ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა—15 მან., ქუჩა დეკანოიძემ აღუთქვა შემოწირვა 50 მანეთისა, ხოლო ჯერ შემოიტანა—25 მ., კნ. ს. ნ. მიქელაძისამ— 3 მ., ქ-ნთ ნ. და კ. ლორთქიფანიძეთ—5 მ., თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძემ— 3 მ., ქ-ნმა ბ. ლორთქიფანიძისამ—1 მ., ს. ნ. ბ. ღოლობერიძემ—5 მ., თავ. ი. ხ. მიქელაძემ—1 მ., ლ. აბდუშელიშვილმა—1 მ., ი. არეშიძემ—1 მ., ნ. ი. აბაშიძემ—1 მ., ლ. ზ. ეზიბეგოვმა—50 კ., ა. ბოლქვაძემ—50 კ., ა. ი. ბარელაშვილმა—2 მ., გ. პ. მოდებაძემ—1 მ., ი. თელაკვაძემ—50 კ., ნ. მახარაძემ—50 კ., პ. ი. მეგრელმა—50 კ., ღ. გ. მაჭავარიანმა—1 მ., კ. გ. გორგასლიძემ—2 მ., ი. გ. გიორგაძემ—1 მ., მ. კალანდაძემ—1 მ., უცნობისაგან—1 მ., კ. დუმბაძემ—1 მ., სულ ფულად შემოწირულია—78 მან. 50 კ. ამ ფულიდან 15 მან. და 50 კ. შეკრებილია ბაქოში ბ. ლ. აბდუშელიშვილის მიერ, რისთვისაც მადლობას ვწირავთ.

წიგნების შემომწირველთა სია:

ა. თუმანოვ-წერეთლისამ 7 მან. 90 კ. წიგნები., ნ. რ. გიგაუროვის ასულმა 3 მ. წიგნები., ნ. ქვარიანის ასულმა ლორთქიფანიძისამ 60 კ., ს. ბ. ღოლობერიძემ 18 მან. 90 კაპ., მღვ. კ. კელენჯერიძემ 26 მან. 74 კ., ნ. ღ. კიკნაძემ 9 მ. 10 კ., ლ. ი. მიქაბერიძემ 3 მ., ე. დვალაძემ 3 მ. 50 კ., კ. ბ. ხარაძემ 2 მ., გ. გვაჯავამ 3 მ. 60 კ., „წ. კ. გ. საზოგადოებამ" 10 მ., ნ. ბ. ღოლობერიძემ 18 მ. 90 კ. სულ შემოწირულია—107 მანეთის და 24 კაპ. წიგნები.

განმეორებით უღრმეს მადლობას ვწირავ შემომწირველთ და კვლავ უმორჩილესად ვსთხოვ ყველას ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინონ ხარაგაულის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს. შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: ст. Бѣлогоры З. ж. дор. Кн. Е. Н. Лорткипанидзе.

ხარაგაულის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე

კნ. ე. ნ. ლორთქიფანიძისა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 აპრილი

პეტერბურგი. 23 აპრილს ხელმწიფე-დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს დიდი ცარსკოე სელოს სასახლის ეკლესიაში სასახლის სამღვდელოებამ გადიხადა წირვა. წირვას დაესწრნენ ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-დედოფალნი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესი შვილებითურთ, მათი უმაღლესობანი, მინისტრები და სხვანი. წირვის შემდეგ მათ უდიდებულესობათ მიულოცეს. პირველის ნახევარზე ცარსკოე სელოს სასახლეში საუზმე გაიმართა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ყველანი, ვინც წირვას დაესწრნენ.

— დიდი მთავრის მეუღლე ელისაბედ მავრიკის ასული 23 აპრილს მშვიდობით განთავისუფლდა ძეობისაგან. მისი უმაღლესობა და უმაღლესად ახლად დაბადებული, რომელსაც გიორგი დაარქვეს, კარგად არიან.

კონსტანტინეპოლი. ერთი კონსულის მოხსენებათაგანი გვაუწყებს, რომ მოკლულ ბოლგარელთა რიცხვი 51-ა.

— გარეშე საქმეთა მინისტრი იტყობინება, რომ დატუსაღებული ალბანელი დიდებულნი, ოპოზიციის ხელ-მძღვანელნი, უკვე მცირე აზიაში გაამგზავრეს. დატუსაღებული საეჭვოდ ცნობილი ბოლგარელნი, რომელთა დანაშაულიც ვერ დაამტკიცეს, მცირე აზიაში გაიგზავნებიან.

— მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა მოითხოვოს მონასტირში ბოლგარელთა სავაჭრო აგენტის უკან გამოხმობა. სულთანმა ეს დადგენილება არ დაამტკიცა.

პარიზი. ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი სადარბაზოდ იყო ლუბესთან. ამ დროს სამხედრო პატივისცემით მიიღეს მთავარი. ლუბეც იყო იმასთან სადარბაზოდ.

რომი. იმპერატორი ვილჰელმი წავიდა.

ლონდონი. მოვიდა მეფე.

პარიზი. ლუბემ ხელი მოაწერა ალჟირის გენერალ-გუბერნატორად ჟონნორის დანიშვნის ქაღალდს.

ადენი. ხმა დადის, რომ მოლა ინგლისის მხედრობას დაეცაო, მაგრამ უკუ აქციესო. ინგლისელებს თვალსაჩინო ზარალი მიუციათო.

პარიზი. ოხრიდის ახლო შეტაკება მოხდა; მოკლულია 70 აჯანყებული, დაჭრილია 21. ოსმალელთა მხრით მოკლულია 100-მდე ჯარის-კაცი, დაჭრილია 10 ოფიცერი და ჯარის-კაცი. სალონიკში მღელვარებაა.

რისტოპაცი. გუშინ სალონიკში, მოდის ტანსაცმელში გამოწყობილმა აჯანყებულთაგანმა დააპირა ტელეგრაფის კანტორის აფეთქება, მაგრამ იქვე მოჰკლეს.—ბოლგარიის გიმნაზიების მასწავლებელნი ყველა დატუსაღებულია.—ელდიზ-ფაშამ მოსვლისათანავე გამოაცხადა, რომ სულთანმა მომანდო უსასტიკესად დავსაჯო დამნაშავენიო.—უსკიუბში ბოლგართა სახლები გაჩხრიკა პოლიციამ. იპოვეს დინამიტი.

კონსტანტინეპოლი. აქ მცხოვრებ მაკედონელ ბოლგარების გაჩხრეკას არავითარი შედეგი არ მოჰყვა.—პორტამ მოსთხოვა ბოლგარიის ეგზარხს უკანვე გაიწვიოს ეპისკოპოსი კერასიმე. ეგზარხოსმა უპასუხა, რომ ბრალდება არაფრით არა მტკიცდება და არ გავიწვევო.—არა მართალია ის ხმა, ვითომ ახალ ჯარის მოკრებას აპირებენ სალონიკში მომხდარ ამბის გამო, აგრეთვე სალონიკში მაჰმადიანებმა სისხლის ღვრა მოახდინეს ბოლგარელებთანო.—სალონიკში მომხდარ საქმის გამო მაკედონიის ბევრს ადგილას დაატუსაღეს ხალხი.—პორტამ მოითხოვა ბოლგარიის სავაჭრო აგენტი მონასტირში უკანვე გაიწვიონ, აგრეთვე დაადგინა თვალ-ყური ადევნონ ბოლგარიის სხვა სავაჭრო აგენტებსაც.

— კონსტანტინეპოლში რამდენიმე ბოლგარელი სოვდაგარი დააპატიმრეს; ბოლგარია თხოულობს იმათს განთავისუფლებას.—ამბობენ, პრიზრენსა და იმის მიდამოებში დააპატიმრეს 30-მდე ალბანელთა წინამძღოლნი და რეფორმის მოწინააღმდეგე ოპოზიციის ხელმძღვანელნი.

— სხვა სახელმწიფოთა გადაწყვეტილება—არ გაგზავნონ სამხედრო გემები სალონიკში, როგორც იმ მოსაზრებით არის გამოწვეული, რომ ავსტრო-უნგრეთის სამხედრო გემების მოსვლამ დაამშვიდა უცხო ქვეყნების კოლონიები, აგრეთვე იმ შიშით, რომ ბოლგარიის კომიტეტმა არრის მცოდნე მცხოვრებთ ისე არ აუხსნას უცხო სახელმწიფოთა სამხედრო გემების მოსვლა როგორც ევროპის მხრით ჩარევა საქმეში, და დასასრულ ტყუილ უბრალოდ აღშფოთება არ გამოიწვიოს მაჰმადიანთა შორის.

ვენა. „პოლ. კორ." ის ცნობით სულთანმა 24 ალბანელთა მეთაური დაატუსაღებინა. იმათ რიცხვში პრიშტინის მუფთიც არის. ბოლგარეთის ლიცეუმში სამი ტომარა იარაღი იპოვეს.

— ოსმალეთი ყველა ბოლგარეთის სკოლების დახურვას და ალბანელთაგან ძალით ხარჯის აკრეფას აპირებს.

სოფია. „ბოლგარეთის ტელეგრაფის სააგენტო" ამბობს, რომ სრულიად საფუძველს მოკლებულია საზღვარ გარედ გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, რომ დინამიტი ვითომც სოფიის ვაჭართაგან ყოფილიყოს მოტანილი—თითქოს წამლის სახელით, რილის მონასტერში შემუშავებინათ და მაკედონიაში კონტრაბანდით გაეტანათ.

— აგრეთვე საფუძველს მოკლებულია ცნობა ერთის მოკლულის მეამბოხის ტანისსამოსში ნაპოვნ ბარათის შინაარსის შესახებ, რომელშიაც ვითომც ნათქვამია, რომ სამასწავლებლო სემინარიამ კიუსტენდილში, ბოლგარეთის ჟანდარმებმა და ჯარმა ერთ რაზმს უშველეს მაკედონიაში გადასულა.

— ის ხმები, ვითომც ბურგასში აჯანყება მომხდარიყვეს და ბოლგარელებს ოსმალები გაეწყვიტოთ, ტყუილი გამოდგა.

მადრიდი. ხმები დადის, რომ ტახტის მაძიებელი მოკლულია თავის ბანაკში ტეტუანთან.

ვაშინგტონი. გერმანიის, დიდი ბრიტანიის და იტალიის ელჩებმა მიიღეს რწმუნება ბოუენთან ერთად ოქმის ხელის მოწერაზე, რომლითაც კითხვა პრეტენზიების დაკმაყოფილებაში უპირატესობაზე ჰააგის სამედიატორო სამართალში უნდა იყოს წარდგენილი.

სალონიკი. მოვიდა მეორე ოსმალეთის და ერთი საფრანგეთის სამხედრო გემები. ინგლისის გემი ვოლოში იდგება, რომ საჭიროების დროს მალე მოვიდეს აქეურ ინგლისის კოლონიის დასაცველად.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

სამგზავრო ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.); 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. 01 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—30)

იძლევა ქირით
სამ-ბალკონიანი
ოთხი ოთახი
ზევით სართულში, სამზარეულოთი, საკუჭნაოთი და სარეცხი ოთახით, აგრეთვე შუა სართულში იძლევა ქირით სამი ოთახი ყოველისავე მოწყობილობით და რკინის ბალკონით, პალეზდით ახლად შეკეთებული. პოლიციის მე-8 განყოფილება, არსენალის ქუჩა № 14. (5—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 24 апрѣля, 1903 г.
ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.
(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)